ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

**დადგენილება №10**
**2018 წლის 3 იანვარი**

**დაბა ადიგენი**

**„ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 ივლისის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

**მუხლი 1**

შევიდეს ცვლილება ,,ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 ივლისის №34 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 05/08/2014, 010260020.35.137.016125), კერძოდ:

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სამსახურის მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლებისა და კარიერული განვითარების წესები განისაზღვრება მერიის დებულებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ადიგენის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე** **იმედა მღებრიშვილი**